



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302620820
თარიღი: 27/07/2026

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე
კვარტლის ანგარიშს.

დანართი თან ახლავს.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა			2026 წლის II კვარტლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	24,863.8	13,618.0	11,245.8	20,020.1	12,870.8	7,149.3
გადასახადები	9,213.0	9,213.0	-	9,567.2	9,567.2	-
გრანტები	13,916.6	2,670.9	11,245.8	8,267.5	1,118.2	7,149.3
სხვა შემოსავლები	1,734.1	1,734.1	-	2,185.4	2,185.4	-
II. ხარჯები	17,432.1	12,621.9	4,810.2	15,429.3	10,900.0	4,529.3
შრომის ანაზღაურება	5,054.5	5,054.5	-	4,711.0	4,711.0	-
საქონელი და მომსახურება	6,343.4	5,455.9	887.5	5,163.1	4,338.4	824.7
პროცენტი	5.0	5.0	-	1.2	1.2	-
სუბსიდიები	920.0	920.0	-	883.4	883.4	-
გრანტები	14.8	14.8	-	10.8	10.8	-
სოციალური უზრუნველყოფა	868.7	868.7	-	759.5	759.5	-
სხვა ხარჯები	4,225.6	302.9	3,922.7	3,900.2	195.6	3,704.6
III. საოპერაციო სალდო	7,431.7	996.1	6,435.6	4,590.8	1,970.8	2,620.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,901.7	2,413.0	11,488.7	7,433.3	613.8	6,819.5
ზრდა	14,053.7	2,565.0	11,488.7	7,438.6	619.1	6,819.5
კლება	152.0	152.0		5.3	5.3	
V. მთლიანი სალდო	- 6,470.0	- 1,416.9	- 5,053.1	- 2,842.4	1,357.0	- 4,199.5
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 6,499.1	- 1,446.0	- 5,053.1	- 2,871.5	1,328.0	- 4,199.5
კლება	6,499.1	1,446.0	5,053.1	4,199.5	-	4,199.5
აქციები და სხვა კაპიტალი	6,499.1	1,446.0	5,053.1	4,199.5		4,199.5
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 29.1	- 29.1	-	- 29.0	- 29.0	-
კლება	29.1	29.1	-	29.0	29.0	-
საშინაო	29.1	29.1	-	29.0	29.0	-
სესხები	29.1	29.1		29.0	29.0	
VIII. ბალანსი	0.0	0.0	- 0.0	-	0.0	0.0

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა			2026 წლის II კვარტლის ფაქტი			შესრულების %		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	23,883.2	16,162.4	7,720.8	18,857.5	14,806.5	4,051.0	79.0	91.6	52.5
შემოსავლები	23,731.2	16,010.4	7,720.8	18,852.2	14,801.2	4,051.0	79.4	92.4	52.5
არაფინანსური აქტივების კლება	152.0	152.0	-	5.3	5.3	-	3.5	3.5	#DIV/0!
გადასახდელები	39,597.7	20,369.5	19,228.2	22,896.8	11,548.1	11,348.8	57.8	56.7	59.0

ხარჯები	21,771.4	16,856.0	4,915.5	15,429.3	10,900.0	4,529.3	70.9	64.7	92.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	17,797.1	3,484.4	14,312.7	7,438.6	619.1	6,819.5	41.8	17.8	47.6
ვალდებულებების კლება	29.1	29.1	-	29.0	29.0	-	99.7	99.7	
ნაშთის ცვლილება	- 15,714.5 -	4,207.1 -	11,507.4 -	4,039.3	3,258.4 -	7,297.7	25.7 -	77.5	63.4

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა			2026 წლის II კვარტლის ფაქტი			შესრულების %		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	9,213.0	9,213.0	-	9,567.2	9,567.2	-	103.8	103.8	
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8,088.0	8,088.0		7,631.8	7,631.8		94.4	94.4	
ქონების გადასახადი	1,125.0	1,125.0	-	1,935.4	1,935.4	-	172.0	172.0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	620.0	620.0		2,003.3	2,003.3		323.1	323.1	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	435.0	435.0		- 172.2 -	- 172.2		- 39.6 -	- 39.6	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5.0	5.0		2.8	2.8		56.1	56.1	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	25.0	25.0		47.2	47.2		188.8	188.8	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	40.0	40.0		54.3	54.3		135.8	135.8	

ბ) გრანტები

დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
გრანტები	13,916.6	8,267.5	59.4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		286.21	#DIV/0!
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,916.6	7,981.3	57.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	2,670.9	832.0	31.2
კაპიტალური ტრანსფერი	4,421.2	1,509.16	34.1
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	5,692.0	4,472.3	78.6
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	5,692.0	4,472.3	78.6
სხვა სახის ტრანსფერები	1,132.6	1,167.8	103.1

გ) სხვა შემოსავლები


დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
სხვა შემოსავლები	1,734.1	2,185.4	126.0
შემოსავლები საკუთრებიდან	280.8	153.6	54.7
პროცენტები	40.0	47.9	119.8

რენტა	240.8	105.7	43.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	50.0	92.0	184.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30.0	41.6	138.8
სანებართვო მოსაკრებელი	20.0	27.5	137.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	10.0	14.1	141.3
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.0	50.4	252.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1,333.3	1,439.6	108.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	70.0	500.1	714.4

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	2026 წლის I კვარტლის გეგმა	2026 წლის I კვარტლის ფაქტი
არაფინანსური აქტივების კლება	-	5.3
არაწარმოებული აქტივები	-	5.3
მიწა	-	5.3

შემოსავლები



ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა			2026 წლის II კვარტლის ფაქტი			შესრულების %		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	17,432.1	12,621.9	4,810.2	15,429.3	10,900.0	4,529.3	88.5	86.4	94.2
შრომის ანაზღაურება	5,054.5	5,054.5	-	4,711.0	4,711.0	-	93.2	93.2	
საქონელი და მომსახურება	6,343.4	5,455.9	887.5	5,163.1	4,338.4	824.7	81.4	79.5	92.9
პროცენტები	5.0	5.0	-	1.2	1.2	-	24.9	24.9	

სუბსიდიები	920.0	920.0	-	883.4	883.4	-	96.0	96.0	
გრანტები	14.8	14.8	-	10.8	10.8	-	73.0	73.0	
სოციალური უზრუნველყოფა	868.7	868.7	-	759.5	759.5	-	87.4	87.4	
სხვა ხარჯები	4,225.6	302.9	3,922.7	3,900.2	195.6	3,704.6	92.3	64.6	94.4

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	530.3	8.2	1.6
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	530.3	8.2	1.6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12,371.8	6,887.1	55.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,866.8	6,104.7	61.9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	280.0	2.5	0.9
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	20.0	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	350.0	158.2	45.2
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,100.0	550.3	50.0
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	755.0	71.4	9.5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	25.0	6.2	24.8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	25.0	6.2	24.8
04 00	განათლება	376.1	282.8	75.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	51.3	44.8	87.3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	324.8	238.1	73.3
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	744.4	254.1	34.1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	724.4	247.0	34.1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	20.0	7.1	35.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6.0	-	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	6.0	-	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	14,053.7	7,438.6	52.9

ზ) ფინანსური აქტივების ცვლილება

დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 5,053.1	- 4,199.5
კლება	5,053.1	4,199.5
ვალუტა და დეპოზიტი	5,053.1	4,199.5

თ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 7397,4 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 5412,8 ათას ლარს , საიდანაც 5053.0 ათასი ლარი მიიმართა 2026 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2026 წლის ბიუჯეტში 6793,5 ათასი ლარი .

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,593.3	2,723.6	75.8
7.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,588.3	2,722.4	75.9
7.1.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,498.6	2,722.4	77.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	89.7	-	-
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5.0	1.2	24.9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	9,994.8	6,146.3	61.5
7.4 5	ტრანსპორტი	9,994.8	6,146.3	61.5
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9,994.8	6,146.3	61.5
7.5	გარემოს დაცვა	1,556.7	1,324.2	85.1
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,556.7	1,324.2	85.1
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3,530.3	1,571.6	44.5
7.6 1	ბინათმშენებლობა	37.3	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	374.9	75.6	20.2
7.6 4	გარე განათება	512.1	383.8	74.9
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,606.0	1,112.2	42.7
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	182.3	155.6	85.4
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	182.3	155.6	85.4
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,486.8	2,704.0	77.6
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,050.5	1,444.6	70.4
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,412.3	1,239.5	87.8
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	24.0	20.0	83.3
7.9	განათლება	4,458.1	3,830.3	85.9
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	3,152.8	2,745.0	87.1
7.9 2	ზოგადი განათლება	1,305.3	1,085.2	83.1
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	1,305.3	1,085.2	83.1
7 10	სოციალური დაცვა	4,813.5	837.6	17.4
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	100.0	74.1	74.1
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	161.0	144.7	89.9
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	40.0	40.0	100.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4,512.5	578.8	12.8
	სულ	31,615.7	19,293.2	61.0

II. თავი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების შესრულება


მუნიციპალიტეტის 2026 წლისI კვარტლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 10762,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (15740,6 ათ ლარი) 68,3 %-ია.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტის მიხედვით				
პროგ კოდი	დასახელება	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	%

01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3622,4	2752,6	75,9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13515,2	7710,8	57,1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1566,7	1331,3	84,9
04 00	განათლება	4458,1	3830,3	85,9
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3486,8	2704,0	77,5
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4995,7	4697,8	94,0
	სულ	31644,9	23026,8	72,8

გადასახადები



1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

2026 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2752,6 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3622,4 ათ ლარი) 75,9 % პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -768,9 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 1798,5 ათ ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -155.0 ათ ლარი.

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7710,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 57.1% პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის II კვარტალის გეგმა	2026 წლის II კვარტალის ფაქტი	შესრულების %
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13,515.2	7,710.8	57.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,994.8	6,146.3	61.5
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	9,711.0	6,089.6	62.7
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	50.0	12.6	25.2
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	233.8	44.0	18.8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	374.9	75.6	20.2

02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	250.0	-	-
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	124.9	75.6	60.5
02 03	გარე განათება	512.1	383.8	74.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	512.1	383.8	74.9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	37.3	-	-
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	37.3	-	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	351.0	325.2	92.6
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	20.0	-	-
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	6.0	0.2	2.9
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	325.0	325.0	
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	390.0	158.2	40.6
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,100.0	550.3	50.0
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	755.0	71.4	9.5

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1331.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.0 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1163.0 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობასა და განვითარებაზე დაიხარჯა 161.2 ლარი.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,566.7	1,331.3	85.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,364.7	1,163.0	85.2
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	192.0	161.2	83.9
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	10.0	7.1	71.1

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2026 წლის II კვარტალში გაიხარჯა 3830.3 ათასი ლარი, რაც გეგმის - 85.9 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2745.0 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 824.7 ათასი ლარი რაც გეგმის 92.9 %-ია

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
04 00	განათლება	4,458.1	3,830.3	85.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,152.8	2,745.0	87.1
04 03	განათლების ღონისძიებები	37.5	16.8	44.8
04 04	განათლების ობიექტებისრეაბილიტაცია , მშენებლობა	380.3	243.7	64.1
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	887.5	824.7	92.9

4 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2704.0 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3486.8 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 77.6 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1444.6 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1244.8 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 14.7 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,486.8	2,704.0	77.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,050.5	1,444.6	70.4
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,257.7	1,137.1	90.4

05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	473.2	415.7	87.8
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	145.0	118.0	81.4
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	317.5	313.3	98.7
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	322.0	290.2	90.1
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	78.4	60.4	77.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	714.4	247.0	34.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,416.8	1,244.8	87.9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,346.8	1,217.5	90.4
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	954.8	850.0	89.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	392.0	367.5	93.7
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	46.0	7.3	15.8
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	24.0	20.0	83.3
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	19.5	14.7	75.4

6) **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 4697.8 ათასი ლარით 94.0 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 155.6 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 4542.2 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის II კვარტლის გეგმა	2026 წლის II კვარტლის ფაქტი	შესრულების %
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,995.7	4,697.8	94.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	182.3	155.6	85.4
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	182.3	155.6	85.4
06 02	სოციალური დაცვა	4,813.5	4,542.2	94.4
06 02 01	შ.შ.მ პირთა დახმარების პროგრამა	88.0	66.9	76.0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა	30.0	27.6	92.0
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	107.5	104.7	97.4
06 02 04	ცენტრ „ იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა"	11.0	9.9	90.2
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	14.5	14.5	100.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	100.0	74.1	74.1
06 02 07	მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	74.7	73.3	98.2
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	28.7	23.2	80.8
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	71.5	71.5	100.0
06 02 10	„გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა"	40.0	40.0	100.0
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში,უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების,ქალთა მიმართ ან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების , ასევე სახ-ფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	3,949.6	3,764.0	95.3
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	120.0	107.1	89.3
06 02 24	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა (დელეგირებული უფლებამოსილება)	147.0	144.3	98.2
06 02 25	რისკის ქვეს მყოფი 0-18 წბავშვის ოჯახის გაძლიერების პროგრამა	31.0	21.0	67.7

სარეზერვო ფონდებიდან მერის ბრძანებით 2026 წლის II კვარტალში სულ გაცემულია 44350 ლარი

N	განკარგულების ნომერი და თარიღი	ორგ. კოდი	ორგ. დასახელება	გადარიცხული

[illegible]

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის 2026 წლის ორი კვარტლის ანგარიში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური წარმოგიდგენთ 2026 წლის ორი კვარტლის სოციალური პროგრამების კუთხით ინფორმაციას:

1. შშმ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 165000 ლარით. პროგრამის მიზანია:

თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით ისარგებლა 12 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას და ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას. მოსარგებლეებიდან 10 კაცი; 2 ქალი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურევში. პროგრამით სარგებლობა ხორციელდება ძირითადად ივლისის თვიდან.

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომსახურეობის მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამით სარგებლობს 134 ბენეფიციარი. საიდანაც 65 არის რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ხოლო 69 ბავშვი არის ადრეული განვითარების პროგრამის მოსარგებლე პროგრამიდან დაფინანსდა სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯი. პროგრამის განხორციელებით შშმ ბავშვებს ხელი შეეწყო მკურნალობის ჩატარებაში. ხელი შეეწყო ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას. მოსარგებლეებიდან გოგო 45, ბიჭი 89.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზრდასრული შშმ ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრის მომსახურებით შშმ პირთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება ტრანსპორტირების თანადაფინანსება. თანადაფინანსება განხორციელდება ყოველკარტაკურად 1250 ლარის ოდენობით. პროგრამის განხორციელებით ზრდასრულ 9 შშმ ბენეფიციარის დღის ცენტრში ტრანსპორტირებას შეეწომა ხელი. მოსარგებლეებიდან ქალი 9.

ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა. ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდერითი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატების დაფინანსებას, დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში 400 ლარი. პროგრამით სარგებლობს 4 ბენეფიციარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების საკვებზე ხელშეწყობას. პროგრამით სარგებლობს 2 გოგო 2 ბიჭი.

პროგრამიდან ჯამში დახმარება გაიცა 159 ბენეფიციარზე.

პროგრამიდან გახარჯულია 64401ლარი.

2. მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 30 000 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა რაც აუმაღლებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. პროგრამით სარგებლობდა ის ოჯახები რომელსაც ყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი და რომელთა ოჯახები არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სარგებლობს 12 მრავალშვილიანი ოჯახი. ამავე პროგრამის ფარგლებში 2026 წელს შეძენილ მესამე და ყოველი მომდევნო ახალშობილის შეძენაზე- ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულის მიუხედავად. დახმარება გაცემულია 11 ოჯახზე. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას პროგრამით ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება. პროგრამით ისარგებლა სულ 47 ბავშვმა საიდანაც გოგო 28 ბიჭი 19.

ამავე პროგრამის ფარგლებში 2026 წელს შეძენილ მესამე და ყოველი მომდევნო ახალშობილის შეძენაზე- დახმარება გაიცა 15 ბენეფიციარზე გოგო 5 ბიჭი 10.

პროგრამიდან ჯამში დახმარება გაიცა 62 ბენეფიციარზე.

პროგრამიდან გახარჯულია 27600 ლარი.

3. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 250 000 ლარით. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება, კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და იმუნოჰისტოქიმიური კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 50 %-ით. ბიოფსია- თანადაფინანსება -50%, ენცეფალოგრამა- თანადაფინანსება 50%. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც დადასტურებული აქვთ ერთ-ერთი შემდეგი დიაგნოზი:

* ასაკობრივი მაკულარული დეგენერაცია,

* დიაბეტური რეტინოპათია,

* ზადურის ვეწის ოკლუზიით (თრომბოზით) გამოწვეული მაკულარული შეშუპება,

* ნეოვასკულარული გლაუკომა.

დაფინანსდება მედიკამენტი (ავასტინი) და პროცედურა (ინექციის გაკეთება) ერთ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში 2ჯერ სრულად. მომსახურებით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.

0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციული ჩარევის(სტაციონალური მომსახურება -გეგმიური ან გადაუდებელი, ასევე ჩატარებული) დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50%-ის თანადაფინანსებით, არაუმეტეს 1000 ლარისა. ბავშვები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის, ბიოფსიის ასევე ენცეფალოგრამის უნადლო ანგარიშსწორებით (ინგოსით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“ 2026 წელს პროგრამიდან გაიცა 547 ადმინისტრაციული დაპირება. საიდანაც 263 ქალი 260 კაცი; 24 ბავშვი -10 გოგო და 14 ბიჭი“ მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულია აღებულია 86502 ლარზე. პროგრამის განხორციელებით განხორციელდა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა.

პროგრამით ისარგებლა 547 ბენეფიციარმა.

პროგრამიდან გახარჯულია 104698 ლარი.

4. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20 000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

პროგრამიდან გახარჯულია 9925ლარი.

5. მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20000 ლარით. პროგრამის მიზანია სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (99 მოსწავლე). პროგრამის განხორციელებით განხორციელდა მოსწავლეების ტრანსპორტირებით ხელშეწყობა. პროგრამით განხორციელდა 99 მოსწავლის ტრანსპორტირებით დახმარება.

პროგრამიდან გახარჯულია 14500ლარი.

6. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 190 000 ლარით. მიზანს წარმოადგენს ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის დღეში ერთჯერადად საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით. მიმდინარე წლის დასაწყისიდან პროგრამით ისარგებლა 88 ბენეფიციარმა. საიდანაც ქალი 55 კაცი 33. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

პროგრამით განხორციელდა 88 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა.

პროგრამიდან გახარჯულია 74097ლარი.

7. მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 106 000 ლარით. მიზანს წარმოადგენს:

იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. დევნილთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშემე მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. დახმარება გაცემულია 31 ოჯახზე. პროგრამის განხორციელებით განხორციელდა დევნილთა ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. პროგრამით მოსარგებლებიდან ქალი 24 კაცი 7.

ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500 ლარის ოდენობით (დაზადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს). პროგრამით ისარგებლა 0 ბენეფიციარმა.

ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებზე რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) ხანდაზმულები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშემე მერქნის შესაძენად გაწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; პროგრამის ფარგლებში იმ ბენეფიციარებს რომლებიც ვერ სარგებლობენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვერც ერთი პროგრამით და მუნიციპალიტეტისთვის მომართვისას განიცდიან მძიმე ეკონომიურ სიდუხჭირეს რაც დასტურდება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობით და თანდართული დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. პროგრამიდან საშემე მერქნის შესაძენად 45 ბენეფიციარზე გაიცა ფინანსური დახმარება, მათ შორის 15 ბენეფიციარი მარტოხელა მშობელი პროგრამის განხორციელებით განხორციელდა მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა. მოსარგებლებიდან 5 კაცი, 40 ქალი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მძიმე ეკონომიური სიდუხჭირის გამო საგამონაკლისოდ დახმარება გაიცა 95 ბენეფიციარზე, საიდანაც კაცი 50 ქალი 45. ასევე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მზრუნველობამოკლებულთათა უფასო სასადილოს ბენეფიციარებს (88 ბენეფიციარს) და შეჭირვებულ 110(ასათი) ოჯახს გადაეცა საკვები პროდუქტები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. პროგრამით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოსარგებლებიდან 5 გოგო 6 ბიჭი.

მუნიციპალიტეტში უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება 500 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. პროგრამიდან დახმარება ერთი ბენეფიციარის უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე გაიცა გარდაცვლილი 1 ქალი.

პროგრამიდან ჯამში დახმარება გაიცა 381 ბენეფიციარზე.

პროგრამიდან გახარჯულია 57178 ლარი.

8. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 55000 ლარით. პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 9 ბენეფიციარი) და 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) 500 ლარით დახმარება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება . დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 300 ლარით (13 ვეტერანის დედა). ომში დაღუპული მეომრების საპატივცემლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შეძენა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 1000 ლარი.

პროგრამით განხორციელდა 77 ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება. 3 მარტთან დაკავშირებით ომში დაღუპული მეომრების დედები დასაჩუქრდა 300 ლარით (11 ვეტერანის დედა). პროგრამის განხორციელებით ხორციელდება ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური თანადგომა. პროგრამით განხორციელდა 77 ოჯახის ფინანსური დახმარება. ქალი 24; კაცი 53.

პროგრამიდან ჯამში დახმარება გაიცა 77 ბენეფიციარზე.

პროგრამიდან გახარჯულია 23200 ლარი.

9. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 130000 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე ძალადობის მსვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გათვალისწინებულია ბინის ქირის გადახდა. პროგრამით ისარგებლა 66 ოჯახმა, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა 184 საიდანაც ქალი 67; კაცი 50; ბიჭი 38; გოგო 29. მათ შორის ორი ძალადობის მსხვერპლი ქალი. პროგრამის

განხორციელებით განხორციელდა ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახებს, ძალადობის მსხვერპლი 2 ქალბატონის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა.

პროგრამიდან გახარჯულია 71496 ლარი.

10. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ონკოპაციენტთამხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 80 000 ლარით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან, თერაპიული საქმიანობა არტთერაპიის კომპონენტებით, სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის; მოწვეული სპეციალისტების მომსახურება (კონსულტაცია); პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე; საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება; საინფორმაციო მასალის მომზადება და ბეჭდვა ონკოპაციენტებისათვის; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება; საოფისე საჭიროება (კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი. მეორე მიმართულებაა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკების მართვა და ადრეული გამოვლენა, რომელსაც "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" თანამშრომლობის მემორანდუმით ან/და ხელშეკრულებით ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრი განახორციელებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ქალთა პოპულაციაში მნიშვნელოვნად იმატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობამ. ამასთან დადასტურებული ფაქტია, რომ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის საშუალებას მხოლოდ რეგულარული სკრინინგი იძლევა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, არ ახდენს გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხზე, ხასიათდება გადარჩენადობის მეტად მაღალი პროცენტით. ქალთა პოპულაციაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ 25 -დან 70 წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე ქალებს; ასაკობრივი ჯგუფის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალბატონებს, მათ შორის დევნილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს რომელთა მიწერის ადგილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. სკრინინგის პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს: 1. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევა; 2. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევის შედეგად კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია; 3. ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საეჭვო კვანძის არსებობის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას სისხლში; 4. ჩვენების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღება ბიოფსიური მასალის შემდგომი ციტოლოგიურ კვლევით; კვანძოვანი პათოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კვანძოვანი პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში სკრინინგ პროგრამით განმეორებითი კვლევების სიხშირეს განსაზღვრავს ენდოკრინოლოგი - 3, 6 ან 12 თვეში ერთხელ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ან კიბოსწინა დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში მოქალაქე გადამისამართდება სპეციალიზირებულ პროფილურ დაწესებულებაში.

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამაში

- 1. სულ მონაწილეობა მიიღო 482 ქალმა
- 2. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რიცხვი
26-30 წწ	28
31-35 წწ	39
36-40 წწ	52
41-45 წწ	68
46-50 წწ	78
51-55 წწ	75
56-60 წწ	63
61-65 წწ	46
66-70 წწ	33

- 3. პროგრამაში ჩართვა კრიტერიუმების მიხედვით:

ოჯახური ანამნეზი	96
იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში	0

ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება; დადასტურებული დოკუმენტით	128
E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები; დადასტურებული დოკუმენტით	18
E65-E68 - სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები	246
E70- E90- მეტაბოლური დარღვევები	186
სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო	42
კისრის ლიმფადენოპათია	6
ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება	34
უნაყოფობა	21

4. ჩატარებული კვლევები

ფარისებრივი ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა	482
ენდოკრინოლოგის კონსულტაცია	482
TSH	394
ბიოფსია	14

ჯამურად 2026 წლის 2 კვარტალში პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 482 ქალმა.

146 პაციენტს დანიშნული აქვს 3 თვიანი მონიტორინგი, 198 პაციენტს 6 თვიანი მონიტორინგი. 60 პაციენტი გადამისამართდა მდგომარეობის სირთულის გამო ციტოლოგიურ კვლევაზე, მათგან 14-მა ჩაიტარა ციტოლოგიური კვლევა. ციტოლოგიური კვლევის მიხედვით, 7 შემთხვევა საექმო ავთვისებიანობაზე, კვლევის შედეგად 7 პაციენტს დაენიშნა ქირურგიული ჩარევა. დაგეგმილია ქირურგიული ჩარევები.

პირველ კვარტალში ლანჩხუთის "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" 12 წევრს ჩაუტარდათ მოწვეული სპეციალისტების: მამოლოგი, გინეკოლოგი, ანგიოლოგი, კარდიოლოგის კონსულტაცია, ასევე ლაბორატორიული კვლევები.

პროგრამით ჯამში ისარგებლა 226 ბენეფიციარმა.

პროგრამიდან გახარჯულია 40000 ლარი.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 57 000 ლარით.

პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა. საიდანაც 5 ქალი 5 კაცი. პროგრამის განხორციელებით პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობას ხელი შეეწყო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა. ქალი 1.

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარება. პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. საიდანაც ქალი 3; კაცი 1.

ჯამში პროგრამიდან დახმარება გაიცა 18 ბენეფიციარზე.

პროგრამიდან გახარჯულია 25800 ლარი.

12. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 180 000 ლარი, პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით ბენეფიციარები, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, პროგრამით სარგებლობენ ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 500(ხუთასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლა 50 ბენეფიციარმა.

პროგრამის განხორციელებით ხორციელდება შშმ ბავშვების მკურნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა. მოსარგებლებიდან გოგო 14 ბიჭი 36.

პროგრამიდან გახარჯულია 107138ლარი.

13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა. პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტების საშუალებით; პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე,

ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურაქტიულობაში. პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტენტის ტიპი. დღეის მდგომარეობით მომსახურებას ღებულობს 15 ბენეფიციარი. მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფოსგან გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერი 176000 ლარი. გახარჯულია (მომსახურობის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურობის ხარჯი და მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ადმინისტრაციული ხარჯი) ჯამში 144313 ლარი. პროგრამით მოსარგებლეთაგან ქალი 11, კაცი 6. მომლოდინეთა რიცხია 13 ბენეფიციარი- კაცი 7 ქალი 6.

14. რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 60000 ლარი. საიდანაც 40000 ლარი არის მუნიციპალური ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ხოლო 20000 ლარი სახელმწიფოდან მუნიციპალიტეტის მოთხოვნის საფუძველზე ბავშვის უფლებებზე გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი; (უგულებელყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/ და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფიკინგის მხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება) ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგიის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 7000 (შვიდიათასი) ლარამდე. პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება სამი ოჯახის გაძლიერებისა და მხარდაჭერი მომსახურებების უზრუნველყოფის მიზნით. სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლადი ოჯახების პრობლემების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის ინსტრუქციის შესაბამისად, მომზადდა 10 სკრინინგის დოკუმენტი, რომლებიც მოიცავდა 10 ბავშვს (მათგან 5 ბიჭი და 5 გოგო). სკრინინგის შედეგების საფუძველზე გაგრძელდა სოციალური მუშაობა, რაც მოიცავდა ბავშვებისა და მათი ოჯახების შეფასებას, საჭიროებების სიღრმისეულ შესწავლას, ინდივიდუალური მხარდაჭერის დაგეგმვასა და შესაბამისი მხარდაჭერი სერვისების მიწოდებას.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის ინსტრუქციის შესაბამისად, „რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ოთხი ოჯახის მონიტორინგი. მონიტორინგის დროსაც შეფასდა ოჯახების მიმდინარე მდგომარეობა, პროგრამით განსაზღვრული მიზნების შესრულების ხარისხი. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, განხორციელდა ვიზიტები იმ ოჯახებშიც, რომლებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სოციალური მუშაობა და საქმეებზე საჭირო იყო ფაქტობრივი გარემოებების ადგილზე გადამოწმება. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, განხორციელდა ვიზიტები იმ ოჯახებშიც, რომლებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სოციალური მუშაობა და საქმეებზე საჭირო იყო ფაქტობრივი გარემოებების ადგილზე გადამოწმება.

საანგარიშო პერიოდში, ბავშვისა და ოჯახის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების ინსტრუქციის შესაბამისად, ოჯახებს გაეწიათ კონსულტირება და ადვოკატირება სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა კოორდინირებული მუშაობა სამედიცინო

დაწესებულებებთან, უზრუნველყოფილ იქნა მერიის ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტის კონსულტირება, საჭიროების შესაბამისად დაიგეგმა და განხორციელდა ბენეფიციარების სამედიცინო გამოკვლევა, მკურნალობა და სხვა აუცილებელი სამედიცინო მომსახურებები. განათლების ხელმისაწვდომობისა და ბავშვის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით – საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ხოლო ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით ოჯახებს გაეწიათ მხარდაჭერა და გაძლიერებისკენ მიმართული სოციალური მომსახურებები. ორ შემთხვევაში, ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, საქმეში ჩაერთო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ფსიქოლოგი, რომელმაც ბავშვსა და ოჯახს გაუწია შესაბამისი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კონსულტირება. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში გამოიცა 3 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელთა საფუძველზეც სამ ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თითოეულს 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

